

პროექტი
2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში
ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო
ჩართულობის
გაზრდა

საზოგდოებრივი დამცველი
2016

პროექტის მთავარი მიზანი:

- ▶ 2016 წლის 8 ოქტომბერის საპარლამენტო არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა, მათი ინფორმირებულობის ხელშეწყობის გზით

პროექტის განხორციელების საჭიროებები პრობლემების იდენტიფიცირება

- ▶ საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესები ცხადყოფს, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამომრჩეველთა საინფორმაციო ცნობიერების ამაღლება და არჩევნების პროცესში მათი ჩართვა. აღნიშნული, მით უფრო აქტუალურია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რაიონებში, სადაც, საკმაოდ დაბალი საარჩევნო ცნობიერება და აქტივობაა, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კომპონენტია. შესაბამისად, ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად.
- ▶ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების სამოქალაქო აქტივიზაციის საკმაოდ დაბალი დონე გამოწვეულია, როგორც ენობრივი და რელიგიური ბარიერით, ასევე ტრადიციებითა და არა ინფორმირებულობით. შესაბამისად ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, აქტუალურ პრობლემად კვლავ რჩება ინფორმირებულობის, განათლების, საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდის საკითხები. სამწუხაროდ ეთნიკურად დასახლებულ რეგიონებში დაბალია დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხარისხიც. ასეთ მდგომარეობას სხვა მიზეზებთან ერთად მეტწილად განაპირობებს ის ვითარებაც, რომ საქართველოს მულტიეთნიკური რეგიონები დღემდე რჩებიან რუსული საინფორმაციო და ენობრივი გავლენის ქვეშ. ეთნიკური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დღემდე ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, რაც თავის მხრივ, უამრავი პრობლემის სათავეა. კერძოდ ისინი ფაქტობრივად იზოლირებული არიან ქვეყნის საერთო საინფორმაციო სივრციდან. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია დაგვიანებით, დამახინჯებული ფორმით ან საერთოდ ვერ აღწევს. ამ რეგიონების მოსახლეობამ ხშირად არ იცის იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც მათ საქართველოს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული.

➤ პრობლემებს ემატება ის გარემოებაც, რომ სოფლებში მცხოვრები ქალები ძირითადად დიასახლისები არიან და მათ არ აქვთ შესაძლებლობა ინფორმაცია მიიღონ დივერსიფიცირებული წყაროებიდან (მაგ. სამსახურიდან ან სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროდან), შესაბამისად ისინი ცალმხრივად, ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ინფორმირებულები, რაც მათი ცნობიერებით მანიპულირების საშუალებას იძლევა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში, საკუთარ არჩევანს დამოუკიდებლად ვერ აკეთებენ.

➤ დღეს არსებული გამოწვევები, ქვეყნის საშინაო და საგარეო ასპარეზზე, კიდევ უფრო მოითხოვს მოსახლეობის მაქსიმალურ გათვითცნობიერებას სამოქალაქო საზოგადოებისა და მასში მოქალაქის როლის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას. საქართველოში, სამწუხაროდ, ცნობიერების დონე განსხვავებულია რეგიონებისა და ეთნიკური წარმომადგენლობების მიხედვით, რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინსვლას. მაშინ როცა, 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები, ფაქტობრივად, წარმოადგენს უმთავრეს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ გარდამტეხ მოვლენას, რომლის დემოკრატიულ, გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარება, საქართველოს - როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობაა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ყველას მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, დააფიქსიროს საკუთარი დამოუკიდებელი აზრი. შესაბამისად, საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობისა და მათი ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

თემატიკა

შეხვედრა/დისკუსიები
გაიმართება არჩევნების
მნიშვნელობაზე, პარლამენტის
როლზე და დეპუტატის
ფუნქციებზე, სადაც ასევე
არჩევნების დღის
პროცედურების უკეთ
გაცნობის მიზნით აქტიური
ამომრჩეველი
მოსახლეობისათვის
გაიმართება არჩევნების დღის
სიმულაცია

პროექტის ამოცანები

- ▶ 1. არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ეთნიკურად კომპაქტურ სოფლებში მოეწყო 4 შეხვედრა-დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას მიიღო 90-მდე ქალმა ამომრჩეველმა..
- ▶ 2. კომპაქტურად ჩასახლებულ ეთნიკურ სოფლებში (სულ 37 სოფელში) ჩატარდა ავტოტური, რომლის დროსაც დარიგდა საარჩევნო საკითხებზე მომზადებული საინფორმაციო ფლაიერები, საარჩევნო თემაზე მომზადებული საინფორმაციო სამახსოვროები.
- ▶ 3. ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წამახალისებელი აქტივობას წარმოადგენდა ცნობილი მომღერლების მონაწილეობით კონცერტის მოწყობა, რომელიც გაიმართება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ფონაში
- ▶ 4. პროექტის მთელი პერიოდი ორგანიზაციაში მუშავენ და ცხელი ხაზი

კომპაქტურად ჩასახლებული
ეთნიკური უმცირესობები
გეოგრაფიული არეალი

მუნიციპალიტეტები
გარდაბამი
წალკა
საგარეჯო
თელავი
ლაგოდეხი

- ▶ წალკის მუნიციპალიტეტი 12 სოფელი:
კუში, ჩივთქილისა, ოზნი, ავრანლო,
ბეშთაშენი, კოხტა, კიზილ-ქილისა,
აშკალი, დარაკოვი, ნარდევანი, აიაზმი, ,
ხაჩკოვი;
- ▶ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი 5
სოფელი: კაბალი, უზუნთალა, განჯალა,
კარაჯალა, ფონა;
- ▶ გარდაბანის მუნიციპალიტეტი 15
სოფელი: ნაზარლო, ვახტანგისი,
ქესალო, კალინინო, თაზეკენდი,
კარათაკლია, ახთაკლია, მულანლო,
კარაჯალარი, გაჩიანი, ჯანდარა,
ბოტანიკა, კაპანახჩი, ბირლიკი,
სოღანლუდი;
- ▶ თელავის მუნიციპალიტეტი სოფელი
ყარაჯალა (მოსახლეობის რაოდენობით
საქართველოში მეორე სოფელია
სადახლოს შემდეგ);
- ▶ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი 5
სოფელი: იორმულანლო, ლამბალო,
თულარი, ქეშალო, დუზაგრამა

განხორციელებული აქტივობები

ავტორტური

- ▶ წალკის მუნიციპალიტეტში 12 სოფელი: კუში, ჩივთქილისა, ოზნი, ავრანლო, ბეშთაშენი, კოხტა, კიზილ-ქილისა, აშკალი, დარაკოვი, ნარდევანი, აიაზმი, ხაჩკოვი;
- ▶ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 5 სოფელი: კაბალი, უზუნთალა, განჯალა, კარაჯალა, ფონა;
- ▶ გარდაბანის მუნიციპალიტეტში 15 სოფელი: ნაზარლო, ვახტანგისი, ქესალო, კალინინო, თაზეკენდი, კარათაკლია, ახთაკლია, მულანლო, კარაჯალარი, გაჩიანი, ჯანდარა, ბოტანიკა, კაპანახჩი, ბირლიკი, სოღანლული;
- ▶ თელავის მუნიციპალიტეტში სოფელი ყარაჯალა (მოსახლეობის რაოდენობით საქართველოში მეორე სოფელია სადახლოს შემდეგ);
- ▶ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 5 სოფელი: იორმულანლო, ლამბალო, თულარი, ქეშალო, დუზაგრამა.

შეხვედრა/დისკუსიები

- ▶ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი: კაბალი;
- ▶ გარდაბანის მუნიციპალიტეტი, სოფელი: ქესალო;
- ▶ თელავის მუნიციპალიტეტში სოფელი ყარაჯალა;
- ▶ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი: იორმულანლო;

გარდაბანი

შეხვედრა/დისკუსია



ავტოტური



ლაგოდები

შეხვედრა დისკუსია



ავტორტური



თელავი

შეხვედრა/დისკუსია



ავტოტური



საგარეჯო

შეხვედრა/დისკუსია



ავტოტური



წალკა ავტოტური



კონცერტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი ფონა



პროექტის შედეგი

- ▶ დაგეგმილმა ღონისძიებებმა ხელს შეუწყო ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო საარჩევნო განათლების დონის ზრდას, მათ გათვითცნობიერებულ მონაწილეობას, ჩართულობას საარჩევნო პროცესში, პროექტის განხორციელების შედეგად არჩევნების დემოკრატიულობისა და გამჭვირვალების ხარისხი მოიმატეს, რადგან ეთნიკურად აზერბაიჯანელი ამომრჩეველი უკეთ ინფორმირებული გახდა. პროექტმა ასევე ხელი შეუწყო ეთნიკურ უმცირესობათა მოსახლეობის გააქტიურებას, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, რაც ზოგადად პოლიტიკური უფლებების დაცვას და მათი პოლიტიკური კულტურის ამაღლებას უწყობს ხელს, ყოველივე კი მათთვის სრულფასოვანი მოქალაქის დე-ფაქტო სტატუსს უზრუნველყოფს. ეს მნიშვნელოვანი მექანიზმი იქნება საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ეთნიკური უმცირესობების უფლებების რეალიზაციისათვის, ამასთან ქალთა სოციალური და სამოქალაქო აქტივიზაციისთვის, რაც ასევე გაზრდის 2017 და 2018 წლების არჩევნებში მათ ჩართულობას.


გავრცელებული მასალა

- ▶ გაიზარდა საქართველოს 37 სოფლის, 5 000 და მეტი ამომრჩეველის ინფორმირებულობის დონე არჩევნების დღის პროცედურების, ზოგადად არჩევნების პროცესის, მისი მნიშვნელობისა და საკუთარი მოვალეობის, ასევე დეპუტატის როლისა და ფუნქციების შესახებ;
- ▶ 2017 და 2018 წელს დაგეგმილი არჩევნებისათვის გაიზარდა არჩევნებზე წამსვლელი, ინფორმირებული ამომრჩეველის (მათ შორის ამომრჩეველ ქალთა) რაოდენობა.
- ▶ პროექტის განხორციელების შედეგად გარდაბნის, წალკის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად ჩასახლებულ სოფლებში 5000-ზე მეტი (პირდაპირი ბენეფიციარი) მიიღო ინფორმაცია საპარლამენტო არჩევნების, არჩევნების მნიშვნელობისა და როლის შესახებ, ხოლო 10000 იქნება ირიბი ბენეფიციარი (რომლებიც ინფორმაციას მიიღებენ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით, კერძოდ: ოჯახის წევრებისგან, მეზობლებისგან, მეგობრებისგან და ა.შ.).

გავრცელებული მასალა

- ▶ - ბლოგნოტი საარჩევნო სლოგანით - შეხვერდა/დისკუსიებისა მონაწილეებისათვის 125 ცალი;
- ▶ - კალამი საარჩევნო სლოგანით - 1500 ცალი;
- ▶ - კალენდარი საარჩევნო სლოგანით - 1000 ცალი;
- ▶ - ჭიქა საარჩევნო სლოგანით (სტიკერები) 800 ცალი;
- ▶ - წინსაფრები საარჩევნო სლოგანით - 500 ცალი;
- ▶ - ფლაიერი - 3000 ცალი;
- ▶ - ანგარიში/პუბლიკაცია (ქართულ აზერბაიჯანულ ენებზე) - 50 ცალი.

პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მხარდაჭერით



მადლობა ყურადღებისთვის

